

შენიშვნების ფურცელი

„საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტზე

ავტორი	შენიშვნის არსი	შედეგი
შალვა შავგულიძე	სამართლებრივი მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, მართებული იქნება პროექტის 1-ელი მუხლის მე-2 პუნქტით წარმოდგენილი კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტმა გაითვალისწინოს დახურულ სასამართლო სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნება	გათვალისწინებულია
ინიციატორი	მიზანშეწონილია, უზენაესი სასამართლოს წევრთა მინიმალური რაოდენობა განისაზღვროს არანაკლებ 16 მოსამართლით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში უზენაესი სასამართლოს პლენუმმა მიიღოს გადაწყვეტილება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა რაოდენობის გაზრდის შესახებ. აღნიშნული ასახულ იქნეს კანონის მე-14 მუხლში.	გათვალისწინებულია
გედევან ფოფხაძე	მართებული იქნება სააპელაციო და საქალაქო(რაიონული) სასამართლოების თავმჯდომარეების დანიშვნა მოხდეს დღეს არსებული წესით, მაგრამ გათვალისწინებულ იქნეს სამი წლის ვადით გამწესებული მოსამართლეების სასამართლოს თავმჯდომარეად და მის მოადგილედ დანიშვნის გამწესების პირობები და წესი. (აღნიშნული ასახულ იქნეს შესაბამის მუხლებში: 23-ე, 30-ე და 32-ე მუხლებში).	გათვალისწინებულია
გია ვოლსკი	შენარჩუნებულ იქნეს სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა.	გათვალისწინებულია
ა/ო „მოსამართლე თა ერთობა“	კანონპროექტის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული 23-ე მუხლის მე-4 და 30-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული მოსამართლის სხვა პალატაში ან სხვა კოლეგიაში მივლენა მოხდეს ამავე მოსამართლის თანხმობით.	გათვალისწინებულია

<p>პაატა კიკნაველიძე</p>	<p>პროექტის მე-14 პუნქტით გათვალისწინებულ 32-ე მუხლში გაიწეროს ის შემთხვევა, როცა 3 წლით არის მოსამართლე გამწესებული, ამ შემთხვევაში როგორ ხდება მისი სასამართლოს თავმჯდომარედ გამწესება.ამავდროულად, მე-7 პუნქტში ნაცვლად სიტყვებისა „შეიძლება იყოს“ შეიცვალოს სიტყვით „არის“. აღნიშნული დათქმა გავრცელდეს სააპელაციო სასამართლოს კოლეგიებზეც.</p>	<p>გათვალისწინებულია</p>
<p>ინიციატორი</p>	<p>მიზანშეწონილია კანონპროექტით წარმოდგენილ კანონის 35-ე მუხლში გათვალისწინებულ იქნეს დებულება იმის შესახებ, რომ მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების შემთხვევაში შეფასების ფურცლები და მათი შეჯამების ფურცელი უნდა იყოს ხელმისაწვდომი ნებისმიერი პირისათვის.</p>	<p>გათვალისწინებულია</p>
<p>ინიციატორი</p>	<p>კანონპროექტის 1- ელი მუხლის 35<sup>1</sup> მუხლში გაიწეროს მოსამართლეთა კანდიდატების ქულებით შეფასების სისტემა.</p>	<p>გათვალისწინებულია</p>
<p>ეკა ბესელია</p>	<p>ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, პროექტში ჩაიდოს დებულება იმის შესახებ, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ვერ მიიღებს მონაწილეობას საკონკურსო პროცედურებში, როგორც იუსტიციის საბჭოს წევრი თუ იგი თავად მონაწილეობს მოსამართლის ამ ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში.</p>	<p>გათვალისწინებულია</p>
<p>ვახტანგ ხმალაძე</p>	<p>პროექტით წარმოდგენილ 36<sup>4</sup> მუხლში შევიდეს ცვლილება და მის მე-14 პუნქტში დეტალურად გაიწეროს მოსამართლის უვადოდ გამწესების შესახებ უარის თქმისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტის გასაჩივრების პროცედურები.</p>	<p>გათვალისწინებულია</p>
<p>ვახტანგ ხმალაძე</p>	<p>პროექტის 1-ელი მუხლის 24-ე პუნქტით გათვალისწინებულ 47-ე მუხლის მე-9 პუნქტში მიეთითოს მეორე ტურში გამარჯვების მოსაპოვებლად საჭირო ხმათა რაოდენობაზე, კერძოდ, მითითება გაკეთდეს 47-ე მუხლის მე-8 პუნქტზე.</p>	<p>გათვალისწინებულია</p>

ვახტანგ ხმალაძე	პროექტის 27-ე პუნქტით გათვალისწინებულ 51 <sup>1</sup> მუხლის მე-12 პუნქტში გაიწეროს თუ რა პერიოდულობით წარადგენს ინსპექტორი ანგარიშს.	გათვალისწინებულია
ზვიად კვაჭანტირაძე	მიზანშეწონილია მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების 3 წლიანი ვადა არ გავრცელდეს 2013 წლის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტამდე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ თანამდებობაზე 10 წლის ვადით დანიშნულ მოსამართლეებზე, რომლებსაც ამოეწურათ 10 წლიანი ვადა.	გათვალისწინებულია
იურიდიულ საკითხთა კომიტეტი	მიზანშეწონილია პროექტის პირველი მუხლის 32-ე პუნქტით წარმოდგენილ კანონის 58 <sup>1</sup> -ე მუხლში გათვალისწინებული საქმეთა ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესი, გარდა რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებისა გავრცელდეს აგრეთვე საქართველოს უზენაეს სასამართლოზეც.	გათვალისწინებულია
გედევან ფოფხაძე	მართებული იქნება მოსამართლის მიმართ დისციპლინურ დევნის აღძვრაზე საჭირო იყოს იუსტიციის საბჭოს 2/3 თანხმობა, როგორც ეს არის დღეს მოქმედ რედაქციაში.	გათვალისწინებულია